ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

გარემოს დაცვის სამსახურის უფროსს,

ბატონ **გიგა გიგაშვილს**

დამოუკიდებელი ექსპერტის, **ანა გოგოლაძის**

(პ/ნ 54001000468)

მწვანე ნარგაობის ხარისხობრივი შეფასების

ა ნ გ ა რ ი შ ი

(საკადასტრო კოდი: ს/კ 01.17.01.050.007)



შესავალი

დამკვეთი: შპს „სიმპლექსის“ (ს/კ: 405150688)

ნაკვეთის მესაკუთრე: შპს "ელისი - 2015" ს/კ 405114816

საკადასტრო კოდი: ს/კ 01.17.01.050.007

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინიძის ქ.7

აღნიშნული ნაკვეთის შესწავლა და მასზე არსებული ნარგაობის ხარისხობრივი შეფასება მოხდა შპს „მოურავსა“ (ს/კ 406228069) და ჩემს - ფ/პ ანა გოგოლაძეს შორის 2019 წლის 1 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულებისა და შპს „მოურავსა“ და შპს „სიმპლექსს“ (ს/კ: 405150688) შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ნაკვეთი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, მისი ფართობია 453.00 კვ. მ.

კვლევა ჩავატარეთ მიმდინარე წლის 7 ივლისს. ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეები შევაფასეთ ვიზუალურად, განვსაზღვრეთ მათი მდგომარეობა (სიჯანსაღე), სიმაღლე, გავზომეთ დიამეტრი ნიადაგის ზედაპირიდან 10 სმ. სიმაღლეზე, მივანიჭეთ ნომრები, რომელთა მიხედვით მოხდა თითოეული მათგანის დაფიქსირება ტოპოლოგიურ გეგმაზე, გადავიღეთ ფოტომასალა.



მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეტანილია საკვლევ ნაკვეთზე არსებული მცენარეები და მათი მახასიათებლები:

№	მცენარის ქართული სახელწოდება	მცენარის ლათინური სახელწოდება	სასიცოცხლო ფორმა	სიმაღლე მ.-ში	დიამეტრი ნაად.ზედაპ.10 სმ.-ზე	პროექციული დაფარულობა მ²	სოჭანსაღე	შენიშვნა	გადარგვის შესაძლებლობა +/-
1	იასამანი	Syringa vulgaris	ბუჩქი	2	2+4+ 4+5	_	საღი	4 ღეროიანი	+
2	თუთა	Morus alba	ხე	6	28	_	ზეხმელი	-	-
3	კვიპაროსი	Cupressus sempervirens	ხე	7	22	_	საღი	-	+
4	ბალი	Prunus avium	ხე	3	18	_	ზეხმელი	-	-
5	ხემყრალა	Ailanthus altissima	ხე	3	7	_	საღი	-	+

დასკვნა

ნაკვეთზე გვხვდება როგორც ხეხილი, ასევე დეკორატიული მცენარეების წარმომადგენლები. იასამნის ბუჩქი და კვიპაროსი (№1 და 3) მაღალდეკორატიული ღირებულებისაა, ორივე ინდივიდი ჯანსაღია. ხეხილოვანი თუთა და ბალი (№2 და 4) ხმელია. ხემყრალა კი (№5) ინვაზიური სახეობაა.

05. 07.2019

ანა გოგოლაძე

პ/ნ 54001000468

დანართი - ფოტოები:











